	ჩვენებითი ნაცვალსახელები / Les pronoms démonstratifs (celui (-ci/là), celle (-ci/là), ceux (-ci/là), celles (-ci/là))	✓	✓
	ნეიტრალური ჩვენებითი ნაცვალსახელები / Les pronoms démonstratifs neutres (ce, ceci, cela, ça)	✓	✓
	განუსაზღვრელი ნაცვალსახელები / Les pronoms indéfinis (quelqu'un, quelque chose, quelques-uns, quelques-unes, certains, certaines, plusieurs, aucun, aucune, chacun, chacune, tout, tous, toute, toutes, rien, personne, le/la même, les mêmes, l'autre, les uns, les autres, etc.)	✓	✓
	მარტივი მიმართებითი ნაცვალსახელები / Les pronoms relatifs simples (qui, que, où, dont)	✓	✓
კითხვითი ნაცვალსახელები / Les pronoms interrogatifs	✓	✓	
<b>ზმნიზედა L'adverbe</b>	ვითარების ზმნიზედის წარმოება ზედსართავი სახელისაგან « -ment » დაბოლოების დამატებით / La formation des adverbess de manière avec le suffixe « -ment »	✓	✓
	ადგილის ზმნიზედები / Les adverbess de lieu (là, ici, là-bas, là-haut, en haut, en bas, etc.) რაოდენობის ზმნიზედები / Les adverbess de quantité (beaucoup de, assez de, trop de, etc.)	✓	✓
	დროის ზმნიზედები / Les adverbess de temps (aujourd'hui, maintenant, pendant, etc.)	✓	✓
<b>ზმნა Le verbe</b>	I, II და III ჯგუფის ზმნები / Les trois groupes du verbe	✓	✓
	ნაცვალსახელოვანი ზმნები / Les verbess pronominaux (se lever, se promener, etc.)	✓	✓
	დამხმარე ზმნები « avoir » და « être », მათი უღლება და ფუნქცია / Les verbess auxiliaires « avoir » et « être »	✓	✓
	ზმნები, რომლებიც რთულ დროებში დამხმარე ზმნა «être»-ით იუღლება / Les verbess conjugués avec l'auxiliaire «être»	✓	✓
	უპირო ზმნები / Les verbess impersonnels: falloir, pleuvoir, neiger, etc.	✓	✓
	კონსტრუქცია « il y a »	✓	✓
<b>ზმნის კილო და დრო Les modes et les temps du verbe</b>	აწმყო / L'indicatif présent	✓	✓
	უახლოესი მომავალი / Le futur proche / futur immédiat	✓	✓
	უახლოესი წარსული / Le passé récent / passé immédiat	✓	✓
	ნამყო წყვეტილი / Le passé composé	✓	✓
	ნამყო უწყვეტელი / L'imparfait	✓	✓
	მომავალი / Le futur simple	✓	✓
	ნამყო წინარე წარსული / Le plus-que-parfait	✓	✓
	ნამყო დროის მიმდებარე / Le participe passé	✓	✓
	აწმყო დროის მიმდებარე / Le participe présent	✓	✓
	გერუნდივი / Le gérondif	✓	✓
	ზმნური ზედსართავი სახელები / Les adjectifs verbaux	✓	✓
	ბრძანებითი კილო / L'impératif présent	✓	✓
	პირობითი კილოს აწმყო დრო / Le conditionnel présent	✓	✓
	პირობითობის აღმნიშვნელი « si » ნაწილაკიანი წინადადებები (ჰიპოთეზა)	✓	✓
კავშირებითი კილოს აწმყო დრო / Le subjonctif présent	✓	✓	

გრამატიკული საკითხები		კონტექსტი გაგება/ამოცნობა	გამოყენება
	უარყოფის გამომხატველი ფორმა მარტივ და რთულ დროსთან (ne – verbe – pas) / La forme négative	✓	✓
	უარყოფის გამომხატველი ფორმა მარტივ და რთულ დროსთან (ne – verbe – rien / jamais / plus / ni...ni, ne ... que)	✓	✓
	კითხვის გამომხატველი ფორმა / La forme interrogative (კითხვის დასმა ინტონაციით, მტკიცებით ფორმაზე კითხვითი საქვევის «est-ce que»-ს დამატებით, ინვერსიით, კითხვითი ნაცვალსახელის/ზედსართავის/ზმნიზედის გამოყენებით)	✓	✓
	ზმნის აქტიური და პასიური ფორმები / La forme active – La forme passive	✓	✓
	ზედსართავ სახელთან / avec l'adjectif: plus/moins/aussi ... que	✓	✓
<b>შედარებითი ხარისხი Le comparatif</b>	ზმნიზედასთან / avec l'adverbe « bien »	✓	✓
	არსებით სახელთან / avec le nom: plus de/moins de/ autant de ... que	✓	✓
	განსაკუთრებული ფორმები / Les cas particuliers: bon(ne)/meilleur(e), petit(e)/moindre, mauvais(e)/pire	✓	✓
<b>აღმატებითი ხარისხი Le superlatif</b>	ზედსართავ სახელთან / avec l'adjectif: le/la/les + plus/moins + adjectif	✓	✓
	არსებით სახელთან / avec le nom: le/la/les plus de/moins de + nom	✓	✓
	ზმნიზედასთან / avec l'adverbe: le plus/le moins + adverbe	✓	✓
<b>წინდებული La préposition</b>	განსაკუთრებული ფორმები / Les cas particuliers: le meilleur, le plus mauvais/le pire, le plus petit /le moindre, le mieux, etc.	✓	✓
	ადგილმდებარეობის, დროის, მიზეზის, რაოდენობის გამოხატველი წინდებულები / Les prépositions marquant le lieu, le temps, la cause, la quantité etc. (à, en, dans, de, avec, sans, chez, pour, vers, entre etc.)	✓	✓
<b>წინადადება La phrase</b>	მარტივი წინადადება / La phrase simple	✓	✓
	რთული თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადებები შემდეგი კავშირებით: et, ou, mais, parce que.	✓	✓
	რთული თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადებები შემდეგი კავშირებით: qui, que, si, quand, comme, pendant que, puisque, lorsque, donc, etc.	✓	✓
	დროთა შესაბამისობა რთულ ქვეწყობილ წინადადებაში / La concordance des temps	✓	✓
	პირდაპირი ნათქვამი / ირიბი ნათქვამი / Le discours direct – Le discours rapporté/indirect	✓	✓

რუსული			
<p><b>შენიშვნა:</b> თუ კონკრეტული გრამატიკული საკითხის გასწვრივ მხოლოდ პირველი გრაფაა მონიშნული (კონტექსტში გაგება), ეს იმას ნიშნავს, რომ მოსწავლეს მოეთხოვება ამ საკითხის მხოლოდ და მხოლოდ აღქმა ისე, რომ კონტექსტის შინაარსი მისთვის გასაგებ იყოს. ხოლო, თუ კონკრეტული საკითხის გასწვრივ ორივე გრაფაა მონიშნული (ე.ი. გაგება და გამოყენება), ეს იმას ნიშნავს, რომ მოსწავლეს ამ გრამატიკული საკითხის არა მხოლოდ აღქმა, არამედ კონტექსტში გამოყენებაც უნდა შეეძლოს.</p>			
გრამატიკული საკითხები		კონტექსტი გაგება/ამოცნობა	გამოყენება
<b>მორფოლოგია</b>			
<b>არსებითი სახელი Имя существительное</b>	სულიერი და უსულო არსებითი სახელები.\nОдушевленные и неодушевленные имена существительные.	✓	✓
	საკუთარი და საზოგადო არსებითი სახელები.\nНарицательные и собственные имена существительные.		
	არსებითი სახელის სქესი.\nРод имен существительных.		
	არსებითი სახელების რიცხვი. არსებითი სახელები, რომლებსაც აქვთ მხოლოდ მრავლობითი ან მხოლობითი რიცხვი.\nЧисло имен существительных. Существительные, имеющие форму только единственного или только множественного числа.		

გამოსაშვები გამოცდაები

უცხოური ენები

გრამატიკული საკითხები	1	2
<ul style="list-style-type: none"> <li>ბრუნვათა სისტემა. არსებითი სახელის ბრუნვის ტიპები. \ Система падежей в русском языке. Типы склонений имен существительных.</li> <li>ბრუნვადი და უბრუნველი არსებითი სახელები. \ Склоняемые и несклоняемые имена существительные.</li> <li>ბრუნვის სხვადასხვა ტიპის მქონე არსებითი სახელები. \ Разносклоняемые существительные.</li> </ul>	✓	✓
<ul style="list-style-type: none"> <li>ვითარებითი, მიმართებითი, კუთვნილებითი ზედსართავი სახელები. \ Прилагательные качественные, относительные и притяжательные.</li> <li>ზედსართავი სახელის სქესი, რიცხვი და ბრუნვა. \ Род, число и падеж имен прилагательных.</li> <li>ზედსართავი სახელის შედარებითი ხარისხი. \ Сравнительная степень прилагательных.</li> <li>ზედსართავი სახელის აღმატებითი ხარისხი. \ Превосходная степень прилагательных.</li> <li>ზედსართავი სახელის სრული და მოკლე ფორმები. \ Полные и краткие прилагательные.</li> </ul>	✓	✓
<ul style="list-style-type: none"> <li>რაოდენობითი რიცხვითი სახელი. კრებითი რიცხვითი სახელი. \ Количественные числительные. Собирательные числительные.</li> <li>რიცხვითი რიცხვითი სახელი. \ Порядковые числительные.</li> <li>მარტივი და რთული რიცხვითი სახელები. \ Простые и сложные числительные.</li> <li>წილადები რიცხვითი სახელები. \ Дроби.</li> <li>რიცხვითი სახელის ბრუნვა. \ Склонение числительных.</li> </ul>	✓	✓
<ul style="list-style-type: none"> <li>უკუქცევითი, პირის, კითხვითი, კუთვნილებითი, ჩვენებითი, განსაზღვრებითი ნაცვალსახელების ბრუნვა. \ Склонение возвратного, личных, вопросительных, притяжательных, указательных, определительных местоимений.</li> <li>მიმართებითი, განუსაზღვრელი, უარყოფითი, ნაცვალსახელების ბრუნვა. \ Склонение относительных, неопределенных, отрицательных местоимений.</li> </ul>	✓	✓
<ul style="list-style-type: none"> <li>ზმნის განუსაზღვრელი ფორმა (ინფინიტივი). \ Неопределенная форма глагола. (инфинитив).</li> <li>უკუქცევითი ზმნები. \ Возвратные глаголы.</li> <li>ზმნის თხრობითი კილო. \ Изъявительное наклонение.</li> <li>ზმნის ბრძანებითი და კავშირებითი კილო. \ Повелительное и условное (сослагательное) наклонения глагола.</li> <li>გარდამავალი და გარდაუვალი. \ Переходные и непереходные глаголы.</li> <li>უპირო ზმნები. \ Безличные глаголы.</li> <li>ზმნის ასპექტი. აწმყო, წარსული და მომავალი დრო. \ Глаголы совершенного и несовершенного вида. Настоящее, будущее и прошедшее время.</li> <li>ზმნის უღლება. პირი და რიცხვი. \ Спряжение глаголов. Лицо и число.</li> <li>თავისებურ ზმნათა უღლება. \ Разноспрягаемые глаголы.</li> <li>სქესის ასახვა ზმნის თხრობითი კილოს წარსული დროის ფორმაში. \ Изменение по родам глаголов в форме изъявительного наклонения (прошедшее время).</li> <li>სქესის ასახვა ზმნის კავშირებითი კილოს ფორმაში. \ Изменение по родам глаголов в форме условного (сослагательного) наклонения.</li> </ul>	✓	✓
<ul style="list-style-type: none"> <li>აწმყო და წარსული დროის მიმდებარე. \ Причастия настоящего и прошедшего времени.</li> <li>მოქმედებითი და ვნებითი გვარი. \ Действительные и страдательные причастия.</li> <li>ვნებითი გვარის მიმდებარე სრული და მოკლე ფორმები. \ Полные и краткие формы страдательных причастий.</li> <li>მიმდებარე შემცველი კონსტრუქციები. \ Причастный оборот.</li> </ul>	✓	
<ul style="list-style-type: none"> <li>სრული და უსრული სახის აბსოლუტივი. \ Деепричастия совершенного и несовершенного вида.</li> <li>აბსოლუტივის შემცველი კონსტრუქციები. \ Деепричастный оборот.</li> </ul>	✓	
<ul style="list-style-type: none"> <li>ვითარების, დროის, ადგილის, კითხვითი, უარყოფითი ზმნიზედები. \ Наречия образа действия, времени, места, вопросительные, отрицательные.</li> <li>მიზნის, მიზნის, ხარისხის და ზომის, მიმართებითი, განუსაზღვრელი ზმნიზედები. \ Наречия причины, цели, меры и степени, указательные, неопределенные.</li> <li>ზმნიზედის შედარების ხარისხები. \ Степени сравнения наречий.</li> </ul>	✓	✓
<ul style="list-style-type: none"> <li>წინდებულებების გამოყენება. \ Использование предлогов.</li> </ul>	✓	✓
<p>კავშირები \ Союзы; ნაწილაკები \ Частицы; შორისდებულებები \ Междометие</p>	✓	
<b>სინტაქსი \ Синтаксис</b>		
<ul style="list-style-type: none"> <li>სინტაქსური აგებულების სახეები. \ Виды связи слов в словосочетании.</li> </ul>	✓	✓
<ul style="list-style-type: none"> <li>თხრობითი, ბრძანებითი და კითხვითი წინადადებები. \ Повествовательные, побудительные и вопросительные предложения.</li> </ul>	✓	✓

გრამატიკული საკითხები	1	2
<ul style="list-style-type: none"> <li>მტკიცებითი და უარყოფითი წინადადებები. \ Утвердительные и отрицательные предложения.</li> </ul>	✓	✓
<ul style="list-style-type: none"> <li>წინადადების მთავარი წევრები. \ Главные члены предложения.</li> <li>წინადადების მეორეხარისხოვანი წევრები: განსაზღვრება, დამატება, გარემოება. \ Второстепенные члены предложения: определение, дополнение, обстоятельство.</li> <li>გავრცობილი და გაუვრცობელი, სრული და არასრული წინადადებები. \ Распространенные и нераспространенные, полные и неполные предложения.</li> <li>წინადადება ერთი მთავარი წევრით. \ Предложение с одним главным членом.</li> <li>კავშირები მარტივ წინადადებაში. \ Союзы в простом предложении.</li> </ul>	✓	✓
<ul style="list-style-type: none"> <li>წინადადება ერთგვარი წევრებით. \ Предложение с однородными членами.</li> </ul>	✓	✓
<ul style="list-style-type: none"> <li>მიმართვის ფორმები, ჩართული სიტყვები და გამოთქმები. \ Обращение и вводные конструкции.</li> </ul>	✓	
<ul style="list-style-type: none"> <li>თანწყობილი წინადადება. \ Сложносочиненное предложение.</li> <li>ქვეწყობილი წინადადება. \ Сложноподчиненное предложение.</li> <li>დამოკიდებული წინადადების ტიპები: განმარტებითი, განსაზღვრებითი, გარემოებითი. \ Виды придаточных предложений: изъяснительное, определительное, обстоятельственное.</li> <li>თანწყობილი უკავშირო წინადადება. \ Сложносочиненное бессоюзное предложение.</li> <li>კავშირები ი, или, а, но, потому что რთულ წინადადებებში. \ Союзы и, или, а, но, потому что в сложном предложении.</li> <li>პირდაპირი და ირიბი ნათქვამი. \ Прямая и косвенная речь.</li> </ul>	✓	✓
<b>მართლწერა \ Правописание</b>		
<ul style="list-style-type: none"> <li>არსებითი და ზედსართავი სახელების ბრუნვის ნიშანთა მართლწერა. \ Правописание падежных окончаний существительных, прилагательных.</li> <li>ზმნის პირის ნიშნების მართლწერა ზმნებში. \ Правописание личных окончаний глаголов.</li> <li>ხმოვნების და თანხმოვნების მართლწერა სიტყვის ძირში. \ Правописание гласных и согласных в корнях слов.</li> <li>ასომთავრულის გამოყენება. \ Употребление прописной буквы.</li> <li>ბ და ზ ასოების მართლწერა სიტყვებში. \ Правописание в словах б и з.</li> <li>ხმოვნების მართლწერა შიშინა და ი თანხმოვნის შემდეგ. \ Правописание гласных после шипящих и ц.</li> </ul>	✓	✓
<ul style="list-style-type: none"> <li>მეტყველების სხვადასხვა ნაწილების დაბოლოებების მართლწერა. \ Правописание окончаний слов различных частей речи.</li> <li>მეტყველების სხვადასხვა ნაწილთა სუფიქსების მართლწერა. \ Правописание суффиксов слов разных частей речи.</li> <li>ხმოვნების და თანხმოვნების მართლწერა წინართებში. \ Правописание гласных и согласных в приставках.</li> <li>ნ და ნი-ს მართლწერა მეტყველების სხვადასხვა ნაწილებში. \ Правописание н и ни в словах разных частей речи.</li> <li>სიტყვების ერთად, ცალცალკე ან დეფისით დაწერა. \ Слитное и дефисное написание слов.</li> <li>მეტყველების სხვადასხვა ნაწილებთან და ნი ნაწილაკების მართლწერა. \ Слитное и раздельное написание не и ни со словами разных частей речи.</li> <li>ზმნიზედების მართლწერა. \ Правописание наречий.</li> <li>ნაწილაკების მართლწერა. \ Правописание частиц.</li> <li>სიტყვის გადატანის ძირითადი წესები. \ Основные правила переноса.</li> </ul>	✓	
<ul style="list-style-type: none"> <li>სასვენი ნიშნები წინადადების ბოლოს. \ Знаки препинания в конце предложения.</li> <li>სასვენი ნიშნები ერთგვარ წევრებთან. \ Знаки препинания в предложениях с однородными членами.</li> <li>სასვენი ნიშნები მიმართვასთან, ჩართულ სიტყვებთან და გამოთქმებთან. \ Знаки препинания в предложениях с обращениями, вводными словами и конструкциями.</li> <li>სასვენი ნიშნები თანწყობილ, ქვეწყობილ და უკავშირო წინადადებაში. \ Знаки препинания в сложном предложении: сложносочиненном, сложноподчиненном, бессоюзном.</li> <li>სასვენი ნიშნების გამოყენება პირდაპირ ნათქვამში. \ Знаки препинания в предложениях с прямой речью.</li> <li>სასვენი ნიშნების გამოყენება ციტირებისას. \ Знаки препинания в цитатах.</li> <li>სასვენი ნიშნების გამოყენება მიმდებარისა და აბსოლუტივის შემცველ კონსტრუქციებში. \ Знаки препинания в предложениях с причастным и деепричастным оборотом.</li> </ul>	✓	
<b>პუნქტუაცია \ Пунктуация</b>		

„კური ჩვენი არსობის“



ახალციხის სსიპ №5 საჯარო სკოლას მრავალფეროვანი ღონისძიებების ჩატარების დიდი გამოცდილება აქვს. დღეს, როცა პედაგოგთა შემოქმედებით და პროფესიული განვითარებისათვის უამრავი რესურსი არსებობს და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები წინა პლანზეა წამოწეული, ამ კუთხით პედაგოგთა მუშაობა კიდევ უფრო გაძლიერდა.

სკოლაში წარმატებით მუშაობს საგნობრივი კათედრები, იკვებება და ეტაპობრივად ხორციელდება მნიშვნელოვანი პროექტები, კონფერენციები, კონკურსები, შემეცნებითი და ინტელექტუალური ღონისძიებები. სწორედ ასეთი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებთა კათედრაზე დაგეგმილი პროექტის პრეზენტაცია მოეწყო 16 დეკემბერს №5 საჯარო სკოლაში. ბიოლოგიის მასწავლებლის თამარ ფინჭველას ხელმძღვანელობით, XI კლასის მოსწავლეებმა ბავშვებმა მსმენელებს გააცნეს ხორბლის ქართული ჯიშები: ზანდური, მახა, დოლი, თავთუხი, დიკა, ყანა. ყურადღება გამახვილეს იმ ფაქტზე, რომ საქართველო ხორბლეული კულტურების წარმოშობის ერთ-ერთი დამოუკიდებელი კერაა, საქართველოში პურის სამშობლოდ

ითვლება ქართლი, უფრო მეტად კი – მესხეთი. ისაუბრეს ადგილობრივი ჯიშის – ახალციხური „ნითელი დოლის“ შესახებ და პურის ცხოვრების მესხურ ტექნოლოგიაზე.

მოსწავლეები საუბრობდნენ დინჯად, თავდაჯერებულად, პურის კულტურისადმი მონივნებითა და სიყვარულით. პრეზენტაცია გამდიდრებული იყო ვიდეომასალით, პურის სახეობათა ფოტოებითა და ლამაზად გაფორმებული კედლის გაზეთით, ირგვლივ კი სასიამოვნო და მადისალმძვრელი სურნელი ტრიალებდა, სურნელი იმ პურებისა, რომლებიც „ელკანას“ მიერ მიწოდებული ხორბლის ფქვილით იყო გამოცხვარი და გამოფენაზე წარმოდგენილი.

პრეზენტაცია პურის საგალობელით დასრულდა.

სკოლის დირექტორმა **ფინია მერაბიშვილი** და სკოლის სტუმარმა, აგორის №3 საჯარო სკოლის დირექტორმა **ვახტანგ სუხიტაშვილი** მოსწავლეებს და მასწავლებლებს დიდი მადლობა გადაუხადეს და წარმატებები უსურვეს.

მაია თათეშვილი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებთა კათედრის თავმჯდომარე, ფიზიკის მასწავლებელი



საინტერესო გაკვეთილი

კასპის მთავარ ბიბლიოთეკაში კასპის №1 საჯარო სკოლის VIII კლასის მოსწავლეთათვის უჩვეულო გაკვეთილი ჩატარდა თემაზე: „ხელოვნება და მე-დია“ (მასწავლებელი – **მანანა ყაზანაშვილი**).

რაიონული გაზეთის „ახალი განთიადი“ ყურნალისტი ქალბატონი **რუსუდან ხერუაშვილი** მოსწავლეებს საინტერესოდ ესაუბრა გაზეთის ისტორიაზე, გაზეთში განთავსებულ რუბრიკებზე, აღნიშნა, რა არის გრაფიკა და, რომ ნაბეჭდი გრაფიკა დღესაც დიდ როლს ასრულებს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ნაბეჭდი გრაფიკის კავშირი თანამედროვე ცხოვრებასთან – თქვა მან, – განსაკუთრებით უწყობს ხელს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის, ყურნალ-გაზეთების გრაფიკის განვითარებას. რა თქმა უნდა, აქვე ყურადღება გამახვილდა ყურნალ-გაზეთების თემისათვის აუცილებელი ისეთი ელემენტების შექმნაზე, როგორცაა: შრიფტები, ორნამენტები, ნიშნები და სიმბოლოები.

ყურნალისტმა ამომწურავად გასცა პასუხები მოსწავლეთა კითხვებს. ბიბლიოთეკის თანამშრომელმა **ლია ნიპარიშვილი** მოსწავლეებს უჩვენა ყურნალ-გაზეთები: „ეპიზოდი“, „ლიტერატურული პალიტრა“, „სარკე“, „კარიბჭე“, „მინდა, ყველაფერი ვიცოდე“, „თბილისელები“, „24 საათი“ და ა.შ. შეხვედრაზე მოსწავლეებმა გააკეთეს დასკვნა, რომ გრაფიკული დიზაინის გარეშე ვერ იარსებებს ყურნალ-გაზეთები და რომ რედაქციაში დიდი ყურადღება ეთმობა სპეციალურ მხატვრულ რედაქტორს.

მოსწავლეებმა მადლობა გადაუხადეს რუსუდან ხერუაშვილსა და ლია ნიპარიშვილს საინტერესო საუბრისათვის და მიულოცეს გაზეთ „ახალი განთიადის“ 80 წლის იუბილე.

მიღებული ინფორმაცია იმდენად შთამბეჭდავი აღმოჩნდა, რომ მოსწავლეებმა საკუთარი ყურნალების გამოცემა გადაწყვიტეს. დღეისათვის გამოიცა სამი ყურნალი: „თოვლის გუნდა“, „ზამთარი“ და „ჩემი საქართველო“.

**ანი ნაროჯაშვილი**  
VIII კლასის მოსწავლე

ერთი დღე ნინოწმინდის ქართულ სკოლაში

სახელმწიფო პროგრამის „ქართული, როგორც მეორე ენა“ ფარგლებში (კოორდინატორი – **მაკო ჭილაშვილი**), ნინოწმინდის რაიონის განძის შოთა რუსთაველის სახელობის №2 სომხურენოვანი საჯარო სკოლის ქართული ენის კლუბის წევრები (ხელმძღვანელი – **ნანა ბარჯაქაძე-მისანაშვილი**) სტუმრად ვენეციის ნინოწმინდის №4 საჯარო სკოლას (დირექტორი – **ლელა ხითარაშვილი**). ბავშვებმა ერთი დღე გაატარეს სკოლაში, დაესწრნენ გაკვეთილებს და, შეძლებისდაგვარად, მონაწილეობა მიიღეს გაკვეთილის მსვლელობაში ქართულ ენაზე.

საერთო ღონისძიებაზე, ქართველ ბავშვებთან ერთად, ნაიკითხეს ლექსები ქართულ ენაზე, იმღერეს ქართული და სომხური სიმღერები, იცეკვეს, გაცვალეს მისამართები, დამეგობრდნენ. მოსწავლეებს ქართული ენის შესწავლილი ლექსიკის პრაქტიკულად გამოყენების საშუალება მიეცათ.

მოტივაციის ამაღლების მიზნით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნინოწმინდის ქართული ენის სახლის დათვალიერებასაც. მისი ხელმძღვანელია **ელმირა სპოიანი**, რომელმაც კარგად იცის ქართული და რომელსაც ქართული ენის სწავლება ავალის რეგიონში.

კმაყოფილები იყვნენ ბავშვები. მათ აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა გაიგეს, რომ ქართულ სკოლაში სომეხი ბავშვებიც სწავლობენ. ოცნებად ექცათ ისევე კარგად იმღერონ ქართული სიმღერები, როგორც ნინოწმინდის ქართული სკოლის ბავშვები მღერიან.

ხშირად უნდა მოეწეოს ასეთი შეხვედრები, რაც ბავშვებს განუვითარებს როგორც საკუთარი, ისე უცხო ერის თვითმყოფადობის დაფასებისა და პატივისცემის უნარს, ასწავლის სიყვარულს, კაცთმოყვარობას. თითქოს, სამყაროს გასაგონად ისმოდა ჩვენი ბავშვების ნათქვამი:

„ვერავინ გაგვითიშავს  
შეკრულ გულეებს,  
მზისფრად გვიბრწყინავს  
მთა და მდელო,  
შენი სილამაზე გვასულდგმულებს,  
შენი ძლიერება გვასულდგმულებს,  
დედაო საქართველო!“



პროექტში მონაწილეობდნენ სომხური ენისა და ხელოვნების პედაგოგები – **კარინა ქამალიანი** და **ვანიკ თევანიანი**.

პროექტმა ერთხელ კიდევ დაგვანახა, რომ ჩვენ, საქართველოში მცხოვრებ ყველა ეროვნების ადამიანს ერთნაირად ზრუნავს ყველაზე. სახელმწიფო პროგრამა „ქართული, როგორც მეორე ენა“ წარმატებით მიმდინარეობს ჩვენს სკოლაშიც და რაიონშიც. მადლობა ამ პროგრამისთვის ხელისუფლებას, განათლების სამინისტროსა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრს.

ახლა ჩვენი მასპინძლობის ჯერია. ველოდებით ქართველ ბავშვებს ჩვენთან, სკოლაში.

სარქის ღურბარიანი

ნინოწმინდის რაიონის განძის შოთა რუსთაველის სახელობის №2 საჯარო სკოლის დირექტორი

ნანა ბარჯაქაძე-მისანაშვილი

„ქართული, როგორც მეორე ენის“ პედაგოგი



რა უნდა მახარო, შენ ნელო, ახალო?

21 დეკემბერს კასპის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა საახალწლო ზეიმი, რომელშიც მონაწილეობდნენ კასპის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეები და კასპის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ლიტერატურულ-შემოქმედებითი წრის (წრის ხელმძღვანელი **მანანა ყაზანაშვილი**) წევრები: **ბ. ბიგანაშვილი, ე. ბიტარიშვილი, ქ. ბუთხუზი, ნ. თაბუაშვილი, გ. თაბუაშვილი, ნ. თაბუკაშვილი, ლ. ილურიძე, ლ. კახიშვილი, ლ. კობაიძე, ი. მარქარაშვილი, ლ. ნოდარიშვილი, გ. პოლოცკი, ნ. სოყურაშვილი, კ. ქსოვრელი, მ. ქურთაული, ლ. ყაზარაშვილი, მ. ნიკლაური, ა. ნაროჯაშვილი, ქ. გუროსაშვილი**.

ვის აღარ შეხვედებოდა მათ შორის. აქ იყო ფიჭია, სანტა კლაუსი, ჩოხა-ახალუბნი გამოწყობილი ქართველი ვაჟკაცი, ჯაჭვის პერანგით შემოსილი მეომარი, ვიკინგის მუზარადიანი მებრძოლი და უნახეს კაბაში გამოწყობილი ფერია.

ზეიმის მონაწილეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მხატვრულ კითხვაში, სიმღერაში, გამოცანების თქმაში, ასევე წარმოადგინეს როლური თამაში ნაძვის ხის გარშემო.

დამსწრე საზოგადოება განსაკუთრებით მოხიბლა **ლუკა კახიშვილის** შესრულებულმა ქართულმა ხალხურმა სიმღერამ. მოსწავლეებმა სურვილებიც გააკვიბილეს: ზოგს მობილური ტელეფონი სურდა საახალწლოდ, ზოგი თურმე კომპიუტერზე ოცნებობს, ერთმა მოსწავლემ ასეთი რამ თქვა: ჩემი ნატვრა იქნება, ჩაფიქრებული სურვილი ყველას აუხდეს ახალი წლის ჯადოსნურ ღამესო.

ღონისძიების დასასრულს კასპის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლმა გულუხვად უმასპინძლა პატარებს. ტკბილეული და ფასიანი საჩუქრები მოსწავლეებისათვის შეიძინა კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორმა **ნუნუ ყიფიანმა**. მან და სახელოვნებო

სკოლების გაერთიანების სპეციალისტმა მაკა კაიშაურმა შობა-ახალი წელი მიულოცეს ღონისძიების მონაწილე მოსწავლეებს და ბედნიერი მომავალი უსურვეს მათ.



### ქართველი მწერლები

- ❖ ვაჟა-ფშაველა, I-IV ტომი, - 11 ლარი
- ❖ ნოდარ ღუმბაძე, I-V ტომი, - 13 ლარი
- ❖ ალექსანდრე ყაზვავიძე, I-II ტომი, - 11 ლარი
- ❖ მისხილ ჯავახიშვილი, I-VII ტომი - 11 ლარი
- ❖ ლევან გომთუზა, I-II ტომი - 16 ლარი
- ❖ ედიშერ ყიფიანი, I-II ტომი - 15 ლარი
- ❖ კონსტანტინე გამსახურდია, I, II, III, VI, VII, VIII ტომი - 16 ლარი, IV-V ტომი - 18 ლარი
- ❖ რევაზ ინანიშვილი, I-VI ტომი - 12 ლარი
- ❖ ვახტანგ ჭავჭავაძე, I-IV ტომი - 12 ლარი
- ❖ ბრიგოლ ავაშიანი, I-II ტომი - 12 ლარი
- ❖ ოტია იოსელიანი, I-IX ტომი - 12 ლარი
- ❖ თამაზ ჭილაძე, I-VI ტომი - 10 ლარი
- ❖ გოდერძი ჩოხელი, I-IV ტომი - 13 ლარი


მითითებულია თითო ტომის ფასი

### გამოცემლობა „ეიგანატლება“ და გაზეთ „ახალი განათლება“ სპეციალური პროექტი

სელმომწერთა საყურადღებოდ!  
 თუ თქვენ წიგნის მოყვარული ბრძანდებით, შეგიძლიათ ისარგებლოთ „დიოგენეს“ შემოთავაზებით და გააფორმოთ სელმომწერა.  
**გამოინერეთ წიგნები და მიიღეთ სპეციალური ფასად**



საყმაწვილო ენციკლოპედია „მუსიკა“  
~~29.90~~  
**17 ლარი**



საყმაწვილო ენციკლოპედია „სპორტი“  
~~29.90~~  
**10 ლარი**

### პირველად საქართველოში!

მოსწავლეებისა და პედაგოგების სამაგიდო წიგნი თამარ ბეროზაშვილი  
**„ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“**

~~14.90~~  
**10 ლარი**



## „ახალი განათლება“ ჟიურის თანაგ

### მიმდინარეობს სელმომწერა

გადმორიცხვისას აუცილებლად მიუთითეთ ქალაქი, რაიონი, სოფელი, სკოლა, სახელი და გვარი.

შესაძლებელია ინდივიდუალური სელმომწერები!

მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონზე:  
 295 80 23; 8790 95 80 23; 577 13 22 83.

სელმომწერის თანხა გადმორიცხვით რეკვიზიტებზე:

მიმღები - შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735  
 ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22, ა/ა GE93LB0113314052305000

### უპროპორციულად!



მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია  
~~45~~ 35 ლარი  
 საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია  
~~30~~ 26 ლარი  
 სელმომწერის ილუსტრირებული ისტორია  
~~40~~ 30 ლარი

### „მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“ ერთი ტომი - 12 ლარი



- გუსტავ ფლობერი - მაღამ გოვარი
- ონორე დე ბალზაკი - მამა გორიო
- ვიქტორ ჰიუგო - პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი
- ემილ ზოლა - ქალთა ბედნიერება
- ალექსანდრე დიუმა - კავკასია
- ფიოდორ დოსტოევსკი - მკვდარი სახლის ჩანაწერები
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - მონტესუმას ასული
- სტენდალი - ნითელი და შავი
- ლევ ტოლსტოი - კავკასიური მოთხრობები
- ჯონათან სვიფტი - გულივერის მოგზაურობა
- ერის მარია რემარკი - სამი მიგობარი
- შოდერლო დე ლაკლო - სახიფათო კავშირები
- ალექსანდრე პუშკინი - მოთხრობები
- შტეფან ცვაიგი - მოუთმენლობა გულისა
- მაინ რიდი - კვარტარონი

### „რა არის რა“ ერთი ტომი - 11 ლარი



მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტაბატაშვილის №3 ტელ.: 295 80 23, 8790 958023, 577 132283.  
 www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი სელმომწერისთვის: 76096

გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის რეკვიზიტები:

საქართველოს ბანკი

ბ/კ BAGAGE22,

ს/კ 202058735,

ა/ა GE 86 BG 000000 123631000 GEL